საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10. 10243232**
თარიღი:**18/11/2024**

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემის მიზნით ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ლ“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-11 პუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების, „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და საწყისი ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №6 დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლების და „აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის #22 განკარგულებების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება სასყიდლიანი იჯარის ფორმით და ჩატარდეს ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონი შემდეგზე:

აბაშა, სოფ. ქოლობანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 40.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #40.14.32.1309) და მასზე განთავსებული მოძრავი ხის ჯიხური; უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენს 1600.00 (ათასექვსასი) ლარს, იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 8%-ის ოდენობით, მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენს 2700.00 (ორიათასშვიდასი) ლარს, იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ის ოდენობით, ბიჯის ოდენობა განისაზღვროს უძრავი და მოძრავი ქონების ჯამური საწყისი საპრივატიზებო საფასურის 15%-ის ოდენობით. უპირობო და გამოუხმობი (საგარანტიო თანხა) ბე-ს ოდენობა განისაზღვროს იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის 50%-ის ოდენობით;

საქართველო, აბაშა, 0200, ტ.დარასელიას ქ. N1, ტელ: (+412) 29 18 35,
ელ.ფოსტა: ABASHISMERIA@GMAIL.COM

აღნიშნული უძრავი და მოძრავი ქონების სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემის პირობაა, რომ „მოიჯარემ“ გამოიყენოს კომერციული საქმიანობის მიზნით.

2. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველწლიურად 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიანი იჯარის ღირებულება; იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე-ს ოდენობა, ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე-ს ოდენობა ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;

3. ბრძანებაში მითითებული აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონის სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემა განახორციელოს აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავმა მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ;

4. მუნიციპალური ქონების ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონის სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ვებგვერდზე www.eauction.ge-ze. სადაც მიმდინარეობს ელექტრონული ვაჭრობა.

5. ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს: ვებგვერდზე www.eauction.ge-ze აუქციონის გამოცხადების მომენტიდან 10 (ათი) კალენდარული დღით, ხოლო არასამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე პირველივე სამუშაო დღეს.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მერის მოადგილეს გ. ჯვარელიას;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: - ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. #247).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი